

შენიშვნები დოკუმენტთან – „ეკლესიური ერთობა, სინოდალურობა და უფლებამოსილება – ეკლესიის საკრამენტული ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები“ – დაკავშირებით

(ეს დოკუმენტი განიხილებოდა 2007 წელს რავენაში, შეხვედრაზე, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ უნიას – პაპიზმთან ეკლესიურ ერთობას)

პრეამბულა

რადგან წარმოდგენილი დოკუმენტი - „ეკლესიური ერთობა, სინოდალურობა და უფლებამოსილება – ეკლესიის საკრამენტული ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები“ - ეხება ერთობის (უნიის), თანაზიარებისა და მსგავს საკითხებს, და ფაქტობრივად წარმოადგენს ბალამანდის დოკუმენტის გაგრძელებას, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ პრეამბულის სახით მოგვეყვანა მართლმადიდებლური სწავლება დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, მოგვეყვას: « საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 1998 წლის 8 ოქტომბრის სხდომის განჩინება (ამონარიდი-ავტ.) და საქართველოს საღმრთისმეტყველო კომისიის მიერ შესწავლილი მასალები (ამონარიდი-ავტ.), რომლებიც სინოდალური გადაწყვეტილების კანონიკურ ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა განაჩინა:

I. მიუღებელია 1990 და 1993 წლებში შამბეზში (შვეიცარია) მართლმადიდებელ ეკლესიასა და არაქალკედონურ (ორიენტალურ) ეკლესიებს შორის არსებული საღვთისმეტყველო დიალოგის გაერთიანებული საღვთისმეტყველო კომისიის დოკუმენტები (ე.წ. „შამბეზის შეთანხმებები“).

III. მიუღებელია 1993 წლის 23 ივნისს ბალამანდში (ლიბანი) მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ერთობლივი კომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი: „უნიატობა როგორც მეთოდი გაერთიანებისა წარსულში და ძიება სრული ერთობისა დღეს“. (ე.წ. „ბალამანდის შეთანხმება“).

V. მიუღებელია არამართლმადიდებლური, მოდერნისტული თეოლოგიის წიაღში ჩამოყალიბებული ეკლესიოლოგიური მწვალებლური სწავლება მაცხოვრებელი მადლის ეკლესიის კანონიკური საზღვრების გარეთ არსებობის შესახებ...

VI. მიუღებელია არამართლმადიდებლებთან თანალოცვა და თანაზიარება...

საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნა

შამბეზის შეთანხმება სრულიად მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ვინაიდან:

- ა) შეთანხმება გულისხმობს მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების შეცვლას, და სრულიად უსაფუძვლოდ – ანათემათა მოხსნას, რაც დაუშვებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის;
- ბ) ქრისტოლოგიურ საკითხებზე შეთანხმება ეწინააღმდეგება ეკლესიის მიერ მიღებულ წმინდა მამათა – მაქსიმე აღმსარებელის, იოანე დამასკელის და სხვათა მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტოლოგიას;
- გ) შეთანხმება ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენას ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შესახებ...

1993 წლის 23 ივნისს ბალამანდში (ლიბანი) მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ერთობლივი კომისიის მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი დოკუმენტი - „უნიატობა, როგორც მეთოდი გაერთიანებისა წარსულში და ძიება სრული ერთობისა დღეს“.

მართლმადიდებელთა მხრიდან დოკუმენტის მიღებაში მონაწილეობას იღებდა ცხრა ეკლესია. ექსემა ავტოკეფალურმა ეკლესიამ (იერუსალიმი, საქართველო, სერბეთი, საბერძნეთის, ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს არა ეკლესიებს შორის დადებულ ხელშეკრულებას (შეთანხმებას), არამედ შერეული, საერთაშორისო კომისიის რეკომენდაციებს ეკლესიების მიმართ...

იმის გამო, რომ ტექსტში არის ისეთი პუნქტები, რომლებიც მიუღებელია და უცხოა მართლმადიდებლური სწავლებისათვის, ამასთან დოკუმენტში არ არის განხილული ის დოგმატური განსხვავებები, რომლებიც მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის არსებობს და რომელთა გადაწყვეტის გარეშეც წარმოუდგენელია ეკლესიათა ერთობა, ეს დოკუმენტი მართლმადიდებელ ეკლესიებს არ მიუღიათ (მათ შორის არც საქართველოს ეკლესიას), ზოგიერთმა კი იგი მკაცრად გააკრიტიკა.

მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ კათოლიკეთა მხრიდან მისიონერული მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა უნიატობის გზით ცალკეული პირების თუ მთელი კოლექტივების „მოქცევა დედა ეკლესიაში“ მათი „დაბრუნების“ საბაბით...

გამოდის რომ მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენა იმის შესახებ, რომ ხსნა მხოლოდ მასშია, უნიატობის საწინააღმდეგო რექცია ყოფილა, რაც ჩვენთვის მეტად შეურაცხმყოფელი სიცრუეა. მართლმადიდებელი ეკლესია სულ არ საჭიროებდა უნიის დაარსებას იმისათვის, რომ შეეცნო თავი ქრისტეს ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად. მას ყოველთვის ჰქონდა თვითშეგნება ისევე, როგორც შეგნება იმისა, რომ პაპიზმი მცდარი სწავლებაა.

ბალამდის შეთანხმების მე-12 მუხლი გვამცნობს **„კათოლიკები და მართლმადიდებლები ხელახლა განიხილავენ ერთმანეთს ეკლესიის საიდუმლოთა საზომით და თავიდან აღმოაჩინენ ერთმანეთს, როგორც და-ეკლესიებს“**.

აქ ნახმარი სიტყვა „თავიდან აღმოაჩინენ“ მიუთითებს, რომ კათოლიკების და-ეკლესიად ცნობა ხდება დღეს. ეს აზრი ახალია და ამდენად უცხოა მართლმადიდებლური ტრადიციისათვის, რადგან ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ეკლესიებს ეწოდებათ „ღები“, როდესაც ისინი ერთ, ჭეშმარიტ რწმენაში არიან. მაგრამ, როგორ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ მაშინ, როდესაც დოგმებში განსხვავებაა?

კათოლიკური ეკლესიის ცნობა „და-ეკლესიად“ და მისი საიდუმლოების აღიარება ნიშნავს მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი წმინდანების (განსაკუთრებით, წმ. გრიგოლი პალამასა და წმ. მარკოზ ეფესელის) უგულვებლყოფას და განკითხვას. ვინაიდან ისინი არ ფიქრობდნენ, რომ მონაწილეობდნენ ერთსა და იმავე საიდუმლოებებში კათოლიკებთან ერთად, როგორც ეს (ბალამანდის შეთანხმების – ავტ) 13-ე მუხლში წერია.

ჩვენ ღრმა მწუხარებით ვადასტურებთ, რომ 13-ე პარაგრაფი მართლმადიდებელ ეკლესიას უტოლებს რომის კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც მცდარ რწმენაში იმყოფება.

ისმის კითხვა: პაპის პრიმატი და უცდომელობა, „ფილიოკვე“ და განსაწმენდელი, უბიწოდ ჩასახვა და შექმნილი მადლი - განა სამოციქულო აღმსარებლობას წარმოადგენს? ნუთუ, ჩვენთვის, მართლმადიდებელთათვის შესაძლებელია, რომ სამოციქულოდ ვცნოთ ეს კათოლიკური სწავლება? და თუ ეს აშკარა ცდომილებაანია, მაშინ მათი საიდუმლოებები და სამოციქულო ხელდასხმის რიგი ხომ მადლდაკარგულია? შესაძლებელია მადლის სისავსე იქ, სადაც არ არსებობს ჭეშმარიტების სისავსე?

ეკლესია არის მხოლოდ ერთი. მეორე ეკლესია არ არსებობს. ერთი, წმიდა, მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გარდა მაცხოვრებელი მადლი სულისა წმიდისა არსად არ მოქმედებს. ამიტომ ჩვენთვის ეს (29-ე – ავტ.) მუხლი მიუღებელია.

30-ე მუხლში ტრადიციული მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია მოძველებულად არის გამოცხადებული და მისი გადალახვის ე.ი. შეცვლის მოწოდებაა გამოთქმული... ამ მუხლში კიდევ ერთხელ არის აღიარებული კათოლიკური ეკლესიის საიდუმლოთა ჭეშმარიტება და მადლმოსილება. კიდევ ერთხელ არიან განკითხულნი და დამნაშავეებად გამოცხადებულნი მართლმადიდებელი ეკლესიის ის წმიდა მამები, რომლებიც კათოლიკური მცდარი სწავლების მამხილებელნი იყვნენ.

...თავისთავად არამართლმადიდებელთა შეერთება ჩვენს ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან ჩვენთვისაც საურველია, რათა არსრულდეს უფლის ღოცვა – „ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოანე 17:21), ოღონდ ამ ღოცვის მართლმადიდებლური გაგებით. აქ არ არის მითითება „ეკლესიათა გაერთიანებაზე“, არამედ ერთ წმიდა კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაში პიროვნებების ერთობაზე.

სქიზმა – გაყოფა მართლმადიდებელსა და არაქალკედონელებს შორის და შემდგომ მართლმადიდებელსა და კათოლიკებს შორის ჭეშმარიტად ტრაგედიაა, რომლის მიმართ არ გვმართებს დუმილი და მშვიდად ყოფნა. მაგრამ, არც ისეთი „ერთობის“ მოსურნენი ვართ, რომელიც ყალბი დოქტრინების მიღებით ეკლესიას ახალ სქიზმებსა და განყოფებს მოუტანს.

ასე რომ „ბალამანდის დოკუმენტი“ ჩვენთვის მიუღებელია, რადგან:

1. დოგმატური სწავლების შეუთავსებლობის მიუხედავად, (როგორცაა – პაპის პრიმატი, განსაწმენდელი, „ფილიოკვე“, შექნილი მადლი და სხვა) რომის კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის თანასწორი მადლმოსილებითაა აღიარებული.
2. მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის და ტრადიციის საპირისპიროდ, განყოფის შემდეგ არსებული კათოლიკური ეკლესია, სერიოზული დოგმატური დარღვევების მიუხედავად, მართლმადიდებელი ეკლესიის და-ეკლესიად არის გამოცხადებული.
3. ეკლესიათა გაყოფის დანაშაულში ორივე მხარეა ბრალდებული და ჩვენი ეკლესიის წმიდა მამები, რომლებიც ამხელდნენ კათოლიკურ ცრუ სწავლებებს, ეკლესიის გამყოფებად არიან გამოცხადებულნი. »

მოყვანილი საქართველოს სინოდიალური გადაწყვეტილების დებულებები პირდაპირ ამხელენ განსახილველი დოკუმენტის დებულებათა სიმცდარეს და, ამდენად, მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

გადავიდეთ დოკუმენტის მუხლობრივ განხილვაზე

დოკუმენტის „ეკლესიური ერთობა, სინოდალურობა და უფლებამოსილება – ეკლესიის საკრამენტული ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები“ განხილვა

პირველ პუნქტში მცდარად არის წარმოდგენილი წავლება ეკლესიის შესახებ. კერძოდ, რჩება აზრი, თითქოს რომის ე.წ. ეკლესიაც შეადგენს ქრისტეს ეკლესიის სისავსის ნაწილს. იოანეს სახარების მოყვანილი ეპიზოდით და მრწამსის მეცხრე მუხლიც – „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“ – გულისხმობს ერთი მრწამსის მქონე ქრისტიანების ერთობას. „...თავისთავად არამართლმადიდებელთა შეერთება ჩვენს ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან ჩვენთვისაც სასურველია, რათა აღსრულდეს უფლის ლოცვა – „ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოანე 17:21), ოღონდ ამ ლოცვის მართლმადიდებლური გაგებით. აქ არ არის მითითება „ეკლესიათა გაერთიანებაზე“, არამედ ერთ წმიდა კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაში პიროვნებების ერთობაზე“ (საქართველოს სინოდის განჩინება).

2-ე პუნქტში ნახსენებია როდოსის, მიუნხენის, ბარისა და ბალამანდის დოკუმენტები, როგორც რაიმე ავტორიტეტის მქონე, ფუძემდებლური დოკუმენტები. აღვნიშნავთ, რომ ბალამანდის დოკუმენტი დაგმობილია საქართველოს ეკლესიის სინოდალური განჩინებით, როგორც მწვალებლური შეთანხმება. მსგავსად ამისა, არც როდოსის, მიუნხენისა და ბარის დოკუმენტები წარმოადგენენ ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს და ისინიც მწვალებლური შინაარსის მატარებელი რიან. 2-ე პუნქტის შინაარსი აგრძელებს ერთობის საკითხს და ეხება სამოციქულო მოსაყდრეობის როლს, როგორც გარანტს ერთიანი ეკლესიის კინონისა და უწყვეტობისა. ამ დებულების მცდარობას წარმოაჩენს საქართველოს სინოდის განჩინების შემდეგი დებულება: „ისმის კითხვა: პაპის პრიმატი და უცდლომელობა, „ფილიოკე“ და განსაწმენდელი, უბიწოდ ჩასახვა და შექმნილი მადლი - განა სამოციქულო აღმსარებლობას წარმოადგენს? ნუთუ, ჩვენთვის, მართლმადიდებელთათვის შესაძლებელია, რომ სამოციქულოდ ვცნოთ ეს კათოლიკური სწავლება? და თუ ეს აშკარა ცდომილებაანია, მაშინ მათი საიდუმლოებები და სამოციქულო ხელდასხმის რიგი ხომ მადლდაკარგულია? შესაძლებელია მადლის სისავსე იქ, სადაც არ არსებობს ჭეშმარიტების სისავსე?“. ამგვარად, მცდარია მოსაზრება კათოლიკური ე.წ. ეკლესიის მოსაყდრეობის შესახებ.

3-ე პუნქტი იწყება სიტყვებით „რწმენის ამ საერთო მტკიცებულების საფუძველზე...“. მართლმადიდებლებს კათოლიკებთან სწორედ რწმენის შესახებ არა გვაქვს საერთო მტკიცებულება. ამიტომ ამ პუნქტში „ტრინიტარული საიდუმლოს შექმნა“ ევქარისტის შესახებ საუბარი ძირშივე მცდარია.

4-ე პუნქტი მიუღებელია, რადგან საუბრობს მთლიანობასა და მრავალფეროვნებაზე, ხოლო მრავალფეროვნება გულისხმობს რომის ე.წ. ეკლესიასაც, როგორც ერთ-ერთ ადგილობრივ ეკლესიას, რაც ეწინააღმდეგება მრწამსის დებულებას ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შესახებ.

5-ე პუნქტი მართებულია, მაგრამ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს საკითხი რომის ე.წ. ეკლესიის პრიმატის შესახებ.

6-ე პუნქტი სწორად გადმოსცემს სწავლებას წმ. ზიარების შესახებ, თუმცა როგორც კი ხდება ბალამანდის დოკუმენტზე აპელირება, გასაგები ხდება ამ პუნქტის მიზანი და

მწვალებლური შინაარსი –სწავლება არამართლმადიდებლებთან ექქარისტიული კავშირის დამყარების შესახებ.

პირველ ჩანართში უარყოფილია მართლმადიდებელთა მართებული თვალსაზრისი ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შესახებ და გადმოცემულია კათოლიკური ე.წ. ეკლესიის მცდარი მოსაზრება იმავე საკითხთან დაკავშირებით. ეს მიდგომა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კათოლიკეებთან საღვთისმეტყველო დიალოგის შესაძლებლობის საკითხს, რადგან მათი მხრიდან არა ჩანს სინანულისა და შემხვედრი მიმართულებით ნაბიჯის გადაგმის სურვილი.

7-ე პუნქტი გადმოსცემს მწვალებლურ სწავლებას ორი ეკლესიის არსებობის შესახებ და საუბრობს ამ ორ ეკლესიაში ნათლისღებისა და მირონცხების მადლის არსებობაზე. აღნიშნულია, რომ თითქოს „ცხებულების“ გამო ღვთის ხალხი ერთიანია, და რომ ეს ხალხი არ შეიძლება ცდებოდეს რწმენის საკითხებში. სინამდვილეში კი ვითარება პირუკუა: ერთ დროს ღვთის ხალხის გარკვეულმა საკრებულომ, კერძოდ, დასავლეთის ეკლესიამ, მცარი რწმენის მიღების გზით დაკარგა მადლი – ნათლისღების, მირონცხებისა და ყველა სხვა საიდუმლოს მადლმოსილება.

8-ე და 9-ე პუნქტში საუბარია ეპისკოპოსების, როგორც მოციქულთა მონაცვლეების, განსაკუთრებულ როლზე. ეს საკითხიც უკავშირდება სამოციქულო მოსაყდრეობის საკითხს. აღსანიშნავია, რომ არასამოციქულო სწავლებათა გამო კათოლიკე ეპისკოპოსები ვეღარ ჩაითვლებიან მოციქულთა მონაცვლეებად და აქედან გამომდინარე, მათი კრებაც ვერ იქნება სულიწმიდის მიერ დაფუძნებული „ერთგზის ყველასათვის“ მოციქულთა ერთობის სულით, ვერ გახდება იგი „ერთადერთი“ მოწმე რწმენისა. შესაბამისად, კათოლიკე ეპისკოპოსების გაიგივება და გაერთიანება მართლმადიდებელ ეპისკოპოსებთან შეუძლებელია.

10-ე პუნქტში საუბარია ბუნდოვან ინსტიტუციაზე - „სინოდიალურ განზომილებაზე“, რომელიც დაფუძნებულია ქრისტეს ნებით მისი ხალხისათვის. აქაც ერთიანობის ქვეტექსტია, ხოლო განსხვავება მართლმადიდებელ ეკლესიასა და ლათინთა საკრებულოსთან დაყვანილია კანონიკურ განხორციელებაზე – ისტორიის, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტზე. ამავე პუნქტში, აგრეთვე, არის მინიშნება პაპის პრიმატის აღიარებაზე. ამასთან, არამართებულად არის მოხმობილი მოციქულთა 34-ე კანონი, რომელიც არ შეეხება მწვალებლებსა და განხეთქილებაში მყოფებს. ის, რომ ლათინთა საკრებულო განხეთქილებასა და მწვალებლობაში ჰკიებს. ამის დასტურია კათოლიკეთა დოგმატური და კანონიკური ცდომილებანი.

11-ე, 12-ე და 13-ე პუნქტები მართებულია. თუმცა ამ პუნქტების მართებულ ეკლესიოლოგიურ დებულებებს არავითარი კავშირი არა აქვს ლათინთა მწვალებლურ სწავლებასთან იმის შესახებ, რომ ეკლესიის თავი არის რომის პაპი. ამ საკითხთან დაკავშირებით წმიდა წერილზე დაფუძნებულ ეკლესიის სწავლებას გადმოსცემს ღირსი იუსტინე პოპოვიჩი: „როგორც ქრისტეა ეკლესიაში სულიწმიდის მიერ, ასევე ეკლესია ჰკიებს სულიწმიდის მიერ ქრისტეში, ქრისტე თავია ეკლესიისა, სული წმიდა კი – სული ეკლესიისა“.

14-ე პუნქტთან დაკავშირებითაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც წინა შენიშვნაშია ნათქვამი. ამ პუნქტში სწორად არის გადმოცემული ეკლესიის სწავლება სიყვარულისა და მორჩილების შესახებ, მაგრამ ეს საუბარი გაუგებარია იმ კონტექსტში, რომელიც ეხება საღვთისმეტყველო დიალოგს მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის. თუმცა ვამბობთ, რომ სიყვარულით შევავაგონებთ რომის ე.წ. ეკლესიას, რათა სინანულით დაუბრუნდნენ დედა ეკლესიას.

15-ე პუნქტში არის არასწორი საუბარი იმის შესახებ, რომ, თითქოს, წმიდა წერილი შეიძლება განიმარტოს დროისა და ადგილის შესაბამისად, რაც წარმოადგენს მკრეხელურ მოსაზრებას ამასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, სულიწმიდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ასწავლიდა.

16 პუნქტის შესავალი ნაწილი მართებულია. საფრთხეს შეიცავს ის მოსაზრება, რომ ეკლესიის დადგენილებების ნაწილი „შეიძლება შეიცვალოს ეკლესიური კრებულის საჭიროებიდან გამომდინარე“, რაც ეკლესიის ისტორიაში, სამწუხაროდ, არაერთხელ მომხდარა. მცდარია და მიუღებელი მოწოდება მართლმადიდებელ ეკლესიასა და ლათინთა საკრებულოს შორის კანონიკური დადგენილებების ორმხრივი აღიარების შესახებ, მოწოდება თანაზიარების შესახებ, რაც ვერ განხორციელდება მანამ, სანამ ლათინთა საკრებულო არ შეინანებს თავის ეკლესიოლოგიურ ცდომილებებს.

17-ე და 18-ე მუხლები მისაღებია იმ დაზუსტებით, რომ ლათინთა საკრებულო არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად და მასში ზიარება მაცხოვრებელ მადლს მოკლებულია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლათინთა საკრებულო იმდენად დაშორდა ქრისტეს ეკლესიას, რომ იქ ერის აღმიანებს აზიარებენ მხოლოდ ე.წ. ხორციით, მაშინ როდესაც ქრისტე მოუწოდებს „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩემი...“ და „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისად, მარავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე, 26, 26-28).

18-ე მუხლში გაუგებარია ტერმინი „ავთენტური ზიარება“.

19-ე მუხლი მისაღებია, თუმცა ლათინთა საკრებულო არ მისდევს ამ სწავლებას.

20-ე და 21-ე მუხლები მისაღებია ერთი განმარტებით: ეპისკოპოსის მორჩილება აუცილებელია, თუკი თავად ეპისკოპოსია მორჩილია სამოციქულო სწავლებისა, რასაც ლათინი ეპისკოპოსები მოკლებულნი არიან.

22-ე პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ერთი სარწმუნოებით ჭეშმარიტ რწმენაში გაერთიანებულ ყველა ადგილობრივ ეკლესიებს შორის არსებობს ექვარისტული კავშირი. ასევე, ხელდასხმის კანონიკური წესს ეკლესია აღასრულებს სჯულის კანონის მიხედვით. კვლავ მივუთითებთ: ჩვენთვის მონინხენის თუ ბალამანდის დოკუმენტები არ წარმოადგენენ ავტორიტეტულ დოკუმენტებს.

23-ე პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივ ეკლესიაში ეპისკოპოსის ხელდასხმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი ეკლესიის სინოდი. თუკი სინოდი საჭიროდ ჩათვლის, მაშინ შეიძლება მიწვეულ იქნეს ეპისკოპოსი სხვა ადგილობრივი ეკლესიიდან. ეს, თუნდაც „ექვარისტული ტრაპეზის გაზიარება სხვა ეკლესიის მრევლთან ერთად“, ცხადია, უნდა ხდებოდეს ერთი რწმენის საფუძველზე, თუმცა ჩვენთვის გაუგებარია ფრაზა „მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლათინთა საკრებულო არ წარმოადგენს მართლმადიდებლურ ადგილობრივ ეკლესიას და განსახილველი პუნქტი მას არ შეეხება.

24-ე პუნქტი სწორად არის ჩამოყალიბებული, თუმცა აღვნიშნავთ, რომ რომის ე.წ. ეკლესიის ეპისკოპოსები არ წარმოადგენენ საღმრთლმთავრო დასს.

25-27-ე პუნქტებიც, ასევე 28-ე პუნქტი, თუკი მასში გადმოცემულია სწავლება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ადგილობრივ ეკლესიას ჰყავს პატრიარქი, ზოგიერთს კი –

მიტროპოლიტი ან მათავარეპისკოპოსი, და ისინი იმართებიან ერთი და იგივე კანონიკური ნორმებით, სწორად არის ჩამოყალიბებული და ჩვენ ვიზიარებთ მათ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ისინი შეეხებიან ადგილობრივ ეკლესიებს, რომელთა რიგს რომის ე.წ. ეკლესია არ განეკუთვნება.

29-ე პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებობდა და არსებობს ადგილობრივ ეკლესიათაშორისი სარწმუნოებრივი, ერთი სარწმუნოებით გაერთიანებული სხვადასხვა ხალხთა ერთობა. რაც შეეხება ე.წ. ლათინურ ეპისკოპალურ კონფერენციებს, ეს არის ლათინთა საკრებულოს მორიგი სიახლე, რომელიც ჩვენი ინტერესებისა მიღმაა.

30-ე და 31-ე პუნქტებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში ყველაფერი წყდება კრებისათად და ამ კრებას, რა თქმა უნდა, შეადგენენ ადამიანები, შესაძლოა სხვადასხვა ეთნოსის, კულტურისა და ისტორიის მქონე. თითოეული კრების გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემაზე, ანუ ეკლესიის სწავლებაზე. როგორც ამბობს წმ. ირინეოსი, სწორედ ეს არის ერთობა საცხოვრებლად. სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიაში არსებობს სხვადასხვა წესი და ტრადიცია. სწორედ ეს ითვლება მრავალფეროვნებად და თვითმყოფადობად და არამც და არამც – მრავალფეროვნება დოგმატებსა და კანონებში. აქედან გამომდინარე ეკლესიური კინონია, ანუ ექვარისტული კავშირი, არის ერთობა მთელი კაცობრიობისა მკვდრებით აღმდგარ იესო ქრისტესთან ერთ სარწმუნოებაში.

32-ე პუნქტის მტკიცება მცდარია: არავითარი სქიზმა არ მომხდარა. ისტორიულად ცნობილია, რომ ლათინთა საკრებულო VI საუკუნიდან, ტოლედოს კრებიდან მოყოლებული, ე.წ. „ფილიოკვს“ გამო, მიექანებოდა მწვალებლობისაკენ, საბოლოო ბეჭედი კი დაესვა 1054 წელს, როდესაც კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა კრებამ ანათემას გადასცა პაპისტური საკრებულო. ანათემა კი იხსნება მას შემდეგ, როდესაც ანათემირებული ინანიებს. განსახილველი პუნქტის სინაარსიდან გამომდინარე ჩნდება ისეთი აზრი, რომ, თითქოს, კათოლიკური სწავლება პაპის, როგორც რომის ეკლესიის თავის შესახებ შეიცვალა ე.წ. ეპისკოპალური კონფერენციებით. თუ ეს ასეა, მაშინ ხმამაღლა უნდა იქნეს განცხადებული იმის შესახებ, რომ კათოლიკებმა შესცვალეს მწვალებლური სწავლება პაპის, როგორც ეკლესიის თავის, შესახებ.

ამავე პუნქტში არის მცდარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, მართლმადიდებელ ეკლესიაში იქმნება ახალი გაერთიანებები და პასუხისმგებლობები, რაც შეფასებულია მოძრაობად „პანორთოდოქსული“ ერთიანობისაკენ. ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის სწავლება მისი მართვის შესახებ XXI-ე საუკუნეშიც იგივეა, რაც I იყო საუკუნეში, და ცვალებადობას არ ექვემდებარება.

33-36-ე პუნქტებში გადმოცემული აზრი ეკლესიის ერთიანობის შესახებ თანხმობაშია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან, მაგრამ, 35-ე პუნქტიდან გამომდინარე, მოსაზრება, რომ არც ერთ ეკლესიას „არ შეუძლია შეცვალოს მრწამსი, რომელიც საყოველთაოდ არის მიღებული“, ცხადია, არ შეეხება. კათოლიკეთა ე.წ. ეკლესიას, რომელიც დიდი ხანია მოწყდა ეკლესიის სისავსეს და, შესაბამისად, მასთან ექვარისტული კავშირი შეუძლებელია.

37-38-ე პუნქტებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს ორი ეკლესია, არამედ – ერთი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელშიც აღმოსავლეთის ეკლესია მოიაზრება. ამასთანავე მივუთითებთ, რომ თუკი მსოფლიო ეკლესიების დეკლარაციები რჩება ნორმატიულ აქტად, მაშინ I და II მსოფლიო კრებებზე აღმოსავლეთის ეკლესიის მღვდელმთავრებთან ერთად პაპის მიერ

წარგზავნილი ლეგატების მიერ დამოწმებული სიმბოლო სარწმუნოებისა რატომ არის დღეს რომის ე.წ. ეკლესიის მიერ მკრეხელურად შეცვლილი? ისმის კითხვა: სული წმიდა IV საუკუნეში ამბობდა ერთს, ხოლო VI, XI საუკუნეებში – მეორეს?

39-ე პუნქტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას იგივე, რაც წინა შენიშვნაშია ნათქვამი. დამატებით აღვნიშნავთ, რომ გაუგებარი და ამიტომ მიუღებელია ტერმინი „უფლებამოსილი სინოდალობა“, რომელიც, თურმე, გულისხმობს „უფრო მეტს, ვიდრე ეპისკოპოსთა შეკრებას“, რამეთუ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენთან, აღმოსავლეთის ეკლესიაში, ყველაფერს წყვეტს ეპისკოპოსთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებას ღებულობს რწმენით, ანუ ეკლესიის სწავლების საფუძველზე.

40-41-ე პუნქტებში გადმოცემულია წინამდებარე დოკუმენტის მთავარი მიზანი: რომის ეკლესიის პრიმატისა და რომის პაპის ეკლესიის მეთაურობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს ორი ეკლესია, მითუმეტეს – აღმოსავლეთისა და ე.წ. დასავლეთის ეკლესიებს შორის ჰარმონია. ამ პუნქტებში საუბარია კრებებზე, – გავიხსენოთ ფერარო-ფლორენციის კრება, რომელზეც წმ. მარკოზ ეფესელმა სრულად ამხილა პაპისტური მწვალებლობა და მოუწოდა მათ სინანულისაკენ. ერთობა ეკლესიათა შორის შეაძლებელია მხოლოდ ერთი მრწამსის საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს დამყარებული ევქარისტული კავშირი მწვალებლებთან, ასევე მათი მოხსენიება დიპტიხში.

„მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება მწვალებლების შესახებ ამბობს: მწვალებლები არ წარმოადგენენ ეკლესიას და შეუძლებელიცაა, რომ წარმოადგენდნენ. ამიტომ მწვალებლებს ვერ ექნებათ წმ. საიდუმლოებები, ვერ ექნებათ წმ. ევქარისტია – საიდუმლოებათა საიდუმლოება, რამეთუ იგია თავი და თავი ეკლესიაში: თვით ღმერთკაცი იესო ქრისტე, თვით ეკლესია, როგორც სხეული ქრისტესი.

„ინტერკომუნიო“ (ურთიერთზიარება) – შეერთება მწვალებლებთან, წმ. საიდუმლოებების გზით და განსაკუთრებით ევქარისტით დამყარებული, არის უფალ იესო ქრისტეს ყველაზე სულმდაბლური ღალატი, იუდას გამცემლობა, და მთელი სამოციქულო, წმ. მამათა, ქრისტეს ერთიანი ეკლესიის ღალატი.

პირველ ყოვლისა, ის უნდა ვიკითხოთ, რომელ ეკლესიოლოგიაზეა აგებული ე.წ. „ინტერკომუნიო“? მთელი მართლმადიდებლური სწავლება ეკლესიისა დამყარებულია არა „ინტერკომუნიოზე“, არამედ „კომუნიო“-ზე (ზიარებაზე), ღმერთკაცისა და კაცის ზიარებაზე (შდრ. 1 კორ. 1,9-10, 15-17; 2 კორ. 13,13; ებრ. 2,14; 3,14.1; იოანე, 1,3).

პავლე მოციქული ამბობს: მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განემორე“ (ტიტე, 3,10).

მოციქულთა 45-ე, 46-ე, 65-ე კანონები კრძალავენ მწვალებლებთან ერთობასა და თანაზიარებას. ამის კვალად ვიტყვით, რომ ბრმათათვისაც ცხადია: ეს მცნება მკაცრად გვიბრძანებს, არავითარი წმ. საიდუმლოება არ ვცნოთ მწვალებელთა კუთვნილებად, არ ჩავთვალოთ ისინი ნამდვილად და მადლმოსილად“ (წმ. იუსტინე პოპოვიჩი).

აქვე, რეზიუმეს სახით, მოგვყავს წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვები: „მე არ მსურს, რომ მწვალებლებმა იტანჯონ და არც მათი ცუდი გამიხარდება – ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ მათი მოქცევა კი ძალიან მახარებს. ან რა უნდა იყოს მორწმუნეთათვის უფრო საამო სახილველი, ვიდრე უფლის განბნეულ შვილთა შეერთება! გონება როდი დამიკარგავს, რომ იმას გირჩევდეთ, უმოწყალობა კაცთმოყვარებაზე მეტად შეიყვარეთ-მეთქი. პირიქით, გირჩევთ ყურადღებით და გულმოდგინედ უყოთ სიკეთე ყველა ადამიანს და ყველა გაჭირვებულს დაეხმაროთ ყველაფრით, რითიც შეგიძლიათ. მაგრამ ამასაც გეტყვით: არ შეიძლება დავეხმაროთ მწვალებლებს მათი უგუნური სწავლების დამკვიდრებაში, ასეთ დროს მკაცრნი და შეურიგებელნი უნდა ვიყოთ, რამეთუ მე სიყვარულს კი არა, კაცთმოყვარებას და ღნრთაებრივი სიყვარულისაგან განდგომას ვუწოდებ, როცა ვინმე ეხმარება მწვალებლებს მათი ცდომილების დამკვიდრებაში და უეჭველი წარწყმედისაკენ უბიძგებს ამ ადამიანებს“.

